მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15

2017 წლის 14 ივნისი

დაბა მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლი 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, ,,პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესი, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების, „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად,

მუხლი 1

განისაზღვროს და დამტკიცდეს თანდართული მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები, თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საშტატო ნუსხა.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ნოემბრის №45 დადგენილება.

მუხლი 3

ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ჯაფარიძე**

დანართი №1

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების

ოდენობები და საშტატო ნუსხა

№	შტატის დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	1	2650
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	2250
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1350
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	8	1350
I რანგი – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული			

ერთეულის ხელმძღვანელი			
5.	I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – აპარატის უფროსი	1	1350
ჯამი:		**1**	
II რანგი – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
6.	II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – საოქმო განყოფილების უფროსი	1	1050
7.	II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1	1050
8.	II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – პრესცენტრის განყოფილების უფროსი	1	1050
9.	II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – იურიდიული განყოფილების უფროსი	1	1050
ჯამი:		**4**	
III რანგი – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი			
10.	საოქმო განყოფილების III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	840
11.	საორგანიზაციო განყოფილების III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	840
12.	პრესცენტრის განყოფილების III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი		840
13.	იურიდიული განყოფილების III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	840
ჯამი:		**5**	
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლები			
14.	თანაშემწე	1	980
15.	მძღოლი	1	700
16	IT სპეციალისტი	1	360
ჯამი:		**3**	